



**საკასაციო
საჩივარი
აღმინისტრაციულ საქმეზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

კასატორი: შპს "მწვანე"

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952767 პირადი (საიდენ.) ნომერი	თბილისი, ფალიაშვილის ქ. №27/29, მე-2 სართული ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი	შპს "მწვანე-3"	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	292773 სამსახურის ტელ.	223874 ფაქსი
	მობილური	ელექტრონული ფოსტა greenalt@greenalt.org

კასატორის წარმომადგენელი: შპს "მწვანე"

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	01015010047 18001007618 პირადი ნომერი	თბილისი, ბაქრაძის ქ. №19, 0179 თბილისი, საბურთალოს ქ. №7/19 ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	899 902520 899 717407 მობილური	ფაქსი
	სამსახურის ტელ.	ელექტრონული ფოსტა ngujaraidze@greenalt.org

მოწინააღმდეგე მხარე: შპს "მწვანე"

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №12 ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შპს "მწვანე"

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

შპს "მწვანე-8"

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

განსახილველი გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	თეა ძიმისტარაშვილი
საქმის ნომერი:	3ბ/571-11
მიღების თარიღი:	2011 წელი. 19 აპრილი

გადაწყვეტილებას განსახილველად:

სრულად	<input checked="" type="checkbox"/>
ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

შენიშვნა-11

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შპ6078363-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის სააკლაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლიხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განჩინება სრულიად დაუსაბუთებელია მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

**დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს
საკლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება დააფუძნა სსსკ-ის 377.1 მუხლს და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც მოცემულ საქმეზე არ განუხორციელებია და სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს რომლის თანახმადაც, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარებითა და სამართლებრივი ნორმების აღწერით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს. სსკ-ის 390.3 მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არამცდარად არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების (ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს) სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციაში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით, მითუმეტეს სამართლის ნორმების აღწერით. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 390-ე მუხლი და არ გამოიყენა სსკ-ის 249-ე მუხლი.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105 მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე უგულებელყო სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიები გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას პირველი ინსტანციის მიერ სსსკ-ის 393.2 მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტების დარღვევებთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში მითითებული პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობის შესახებ - სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.3 პუნქტით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად, არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას წილის ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების 4.7 პუნქტით არასწორად დაასკვნა, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის კანონისმიერი ვალდებულება მოპასუხეს ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე არ გააჩნია.

სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია და სათანადო შეფასება არ მისცა იმ ფაქტობრივ გარემოებას რომ ხელშეკრულების 14.1 პუნქტით მხარეთათვის დაწესებულია შეზღუდვა "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების თაობაზე მხოლოდ ამავე ხელშეკრულების 14.2, პუნქტის გათვალისწინებით, ხოლო ხელშეკრულების 14.2 პუნქტის თანახმად კი ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოითხოვება სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით. ამდენად, ხელშეკრულების მითითებული დანაწესით მხარეებს მინიჭებული აქვთ "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ განცხადების გაკეთების უფლებამოსილება, თუ ამას მოითხოვს სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობა.

ასევე სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების 4.7 პუნქტში არასწორად გამოიყენა 2009 წლის 22 დეკემბრის 12.4 მუხლის დანაწესი. როგორც გადაწყვეტილების 4.4 პუნქტშია მითითებული შეთანხმების 12.4 მუხლის თანახმად, "ინფორმაცია, წინადადებები და შეთანხმებები, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტებში ითვლება კონფიდენციალურად და შესაბამისად, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებმა არ უნდა შეატყობინონ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რაიმე ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებას. როგორც მუხლი შინაარსიდან ჩანს, მუხლი ეხება თავად შეთანხმებაში მოცემული ინფორმაციის კონფიდენციალობას და ვერცერთ შემთხვევაში ვერ განიხილება როგორც გადაწყვეტილება რაიმე სხვა დოკუმენტის (პირობების შესრულების ანგარიშების) გასაიდუმლოების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადგენილად არ მიიჩნია, რის გამოც საქმეზე გამოტანილია არასწორი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

სასამართლომ საერთოდ არ განიხილა მოსარჩელის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ არც 2008 წლის 14 მაისს დადებული ხელშეკრულების 14.1 მუხლი და არც 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმების 12.4 მუხლი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების პირობების შესრულების ამსახველი ანგარიშის გასაიდუმლოების შესახებ შემდეგი გარემოების გამო: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27.2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად). ანუ საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ რაც ინფორმაცია წარდგენილი იქნება უწყებაში. ინფორმაციის წინასწარ, ანუ შექმნამდე გასაიდუმლოება მისი შინაარსისგან დამოუკიდებლად ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესს. შესაბამისად, 2008 წლის 14 მაისს და 2009 წლის 22 დეკემბერს დადებულ შეთანხმებებში ვერანაირად ვერ მოხვდებოდა საჯარო უწყების გადაწყვეტილება ამ თარიღის შემდეგ შექმნილი დოკუმენტების (ანგარიშების) გასაიდუმლოების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიის

შესახებ გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობასთან დაკავშირებით - გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ისე იქნა მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციად, რომ დადგენილი არ არის ფაქტობრივი გარემოება დაცულია თუ არა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნების შესახებ კანონით დადგენილი წესი. საქმეზე წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება რომ დაცულია ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნების შესახებ კანონით დადგენილი წესი. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ აქტიურად მიეთითებოდა სარჩელში, ახსნა—განმარტებასა და საქმის განხილვისას მოსარჩელის მიერ. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენილია პრეტენზია სააპელაციო საჩივარშიც. ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენას საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ზაკ-ის 28-ე მუხლის თანახმად საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. მოცემულ შემთხვევაში ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია ღიაა, რადგანაც არ არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, ასევე საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება დადგენილი წესით მოცემული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნების ფაქტი.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის "ა" პუნქტი: ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი - საქართველოს კონსტიტუციის 41.2 მუხლი, რომ ამ ნორმის მიზანია პირთა კერძო სფეროს, ოფიციალურ წყაროებში არსებული კერძო საკითხებთან დაკავშირებული მონაცემების დაცვა, რომ ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას არის ყველაზე დახურული ინფორმაცია და მისი მიღება ნებისმიერი მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის შეუძლებელია. სააპელაციო სასამართლოს მითითებული ნორმის განმარტება არ გამოძინარეობს ამ ნორმის შინაარსიდან. კერძოდ, ზემოაღნიშნული ნორმა არ განსაზღვრავს ინფორმაციის დახურვის და შესაბამისად ყველაზე დახურული ინფორმაციის შემთხვევას. გარდა ამისა, სასამართლომ უგულებელყო ამ ნორმის მნიშვნელოვანი დანაწესი - რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზურუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ კონსტიტუციის 41.2 მუხლის ამგვარი განმარტებით უგულებელყო სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" პუნქტით, ორჰუსის კონვენციის მესამე მუხლის "ა", "ბ" პუნქტებით დადგენილი ნორმები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანილად მიჩნევის საფუძველია.

სასამართლომ გადაწყვეტილების 4.9 მუხლით დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია და ამ ნაწილში, სასამართლოს მიერ მართებულად იქნა დაკმაყოფილებული "მწვანე ალტერნატივას" სასარჩელო მოთხვნა მოპასუხე მხარეზე ინფორმაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ეკონომიკის სამინისტროს დაავალა მწვანე ალტერნატივასათვის საწარმოების გაყიდვის მომენტიანათვის წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემა, ხოლო მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილია კომპანიის მიერ (საწარმოების ყიდვის შემდეგ) ანგარიშის სახით ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, საქალაქო სასამართლომ კომპანიის

კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნია. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც აღნიშნა (სხდომის ოქმში არის შესაბამისი ჩანაწერი), თუმცა სააპელაციო სასამართლომ საერთოდ უგულებელყო აღნიშნული ფაქტი.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - ზაკ-ის 37.2 მუხლის მეორე წინადადება, რომლის თანახმადაც განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი. ამ ნორმის შინაარსის გათვალისწინებით მით უფრო საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ინფორმაციის მოთხოვნისას არ იდგა კანონით გათვალისწინებული აუცილებლობა, რაც ამ ინფორმაციის გაცემის საფუძველი გახდებოდა, ვინაიდან მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემის საფუძველად კანონით გათვალისწინებულ აუცილებლობის შემთხვევას არ ითვალისწინებს, ასევე საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება განმცხადებლისა და მეწარმე სუბიექტის აღმატებული ინტერესების შესახებ. საჯარო ინფორმაციის გაცემის საფუძველად აღმატებული ინტერესისა და აუცილებლობის შემთხვევის არსებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მოთხოვნილი ინფორმაცია კომპანიის მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯებისა და განხორციელებული სამშენებლო პროექტების შესახებ არ მიიჩნია "ისეთ ფაქტორებად", რომელიც გავლენას ახდენს გარემოს ისეთი ელემენტის მდგომარეობაზე, როგორცაა წყალი. სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან კომპანიის მიერ კაპიტალური დანახარჯები და განხორციელებული სამშენებლო პროექტების მიზანი და დანიშნულებაა მოსახლეობის ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფა და კანალიზაციის სისტემის (რომელიც დღეისათვის არის გარემოს დაბინძურების წყარო და 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების 11.6.1 მუხლის (თ) ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი პირობა არის სწორედ კანალიზაციის მტკვარში ჩადინების აღკვეთა) რეაბილიტაცია. სასამართლომ ვერ დაასაბუთა თუ, რატომ არ წარმოადგენს კომპანიის მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯები და განხორციელებული სამშენებლო პროექტები ისეთ ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს გარემოს ელემენტზე წყალზე. მიგვაჩნია, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მოთხოვნილი ინფორმაცია არის საჯარო ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია და რომლის გამოთხოვისას განმცხადებელს არ ეკისრება მათ შორის არც ვარაუდის დონეზე ინფორმაციის გარემოსდაცვითი შინაარსის დასაბუთების შესახებ.

სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების 4.10 მუხლში მოიხმო "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მუხლი 4.-ის მეოთხე პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომც შეიცავდეს გარემოსდაცვით ინფორმაციას, თუკი მისი გაცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, შესაძლებელია ამ ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნა უარყოფილ იქნას. თუმცა, სასამართლომ არ გამოიყენა კონვენციის იმავე მუხლი მე-6 პუნქტი, რომლის (ისევე, როგორც სზაკ-ის 33-ე მუხლის) თანახმად, ასეთ შემთხვევაში, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია უნდა გამოცალკევდეს და დანარჩენი ნაწილი გამოქვეყნდეს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხელშეკრულების 5.2, 11.1 და 11.5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაციის გაცემის კანონიერების შესახებ იმიტომ, რომ აღნიშნული შემოწმდება საინვესტიციო ვალდებულებების სრულად დასრულების შემდგომ კომისიურად, ყველა გამყიდველის მიერ. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა წინაარმდეგობრივია და ურთიერთგამომრიცხავი, ვინაიდან ხელშეკრულების 5.2, 11.1 და 11.5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგი გულისხმობს ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს. მონიტორინგის არსებობა თავისთავად გულისხმობს ვალდებულებების შესრულების პროცესს და არა შესრულებულ

ვალდებულებებს. მონიტორინგის არსი და დანიშნულებაც ხომ ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებაა. შესაბამისად გაუგებარია სასამართლოს ზემოაღნიშნული დაუსაბუთებელი დასკვნა იმ პირობებში, როდესაც საქმეზე წარმოდგენილი არ არის მოცემული მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შპს 03363-15 შპს 03363-16

1. პრეტენზია

დასაბუთება:

2. პრეტენზია

დასაბუთება:

3. პრეტენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შპს 03363-17 შპს 03363-18

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
<p>შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).</p>	
5.	

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომაზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?	
დიახ <input checked="" type="checkbox"/>	მორიგების პირობები: სასამართლო სხდომაზე
არა <input type="checkbox"/>	რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60/შპ65-24 შპ60/შპ65-25

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა — 1

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დაახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ საკასაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

ატვირთვის ბმული: <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

შპსი/შპსა-26

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შპსი/შპსა-27 შპსი/შპსა-28 ელ. ფოსტა: 3rd.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე	03/06/2011 წ.
<i>ხელმოწერა</i>	<i>ხელმოწერის სახელი, გვარი</i>	<i>შევსების თარიღი</i>

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შპსი/შპსა-29